საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-206
2013 წლის 20 სექტემბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო.

მუხლი 2

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თანდართული დებულება.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი **შალვა ფიფია**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

2. სააგენტო დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი მუშაობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საკანონმდებლო აქტებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

3. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სააგენტოს აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა. იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

4. სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო, მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშები, ლოგო, ბეჭედი, აგრეთვე იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

5. სააგენტოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 მაისის ბრძანება №2-336- ვებგვერდი, 14.05.2018წ.

მუხლი 2. სააგენტოს მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. სააგენტოს მიზანია:

ა) სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების გზით;

ბ) სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა;

გ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, წარმოების რენტაბელობის ამაღლება და ეროვნული ეკონომიკის განვითარება;

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფოს ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება;

ე) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფოს ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით გრანტების გაცემა;

ვ) საერთაშორისო და ადგილობრივ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიღება და პროექტის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

2. სააგენტოს ფუნქციები და საქმიანობის საგანია:

ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განვითარების მიზნით შესაბამისი პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის კონსულტაციების გაწევა სამართლებრივ, ინსტიტუციონალურ, წარმოების ტექნოლოგიებსა და სხვა საკითხებში;

გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელშიც აისახება ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ განხორციელებული, მიმდინარე ან/და განსახორციელებელი საქმიანობის, ასევე მოყვანილი და რეალიზებული მოსავლის/გაწეული მომსახურების სახეობის, რაოდენობის და სხვა მონაცემების შესახებ;

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭება, შეჩერება და შეწყვეტა;

ე) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კადრების მომზადებასა და გადამზადებაში, ასევე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობა;

ვ) „კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსთან“, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების კოოპერაციულ გაერთიანებებთან თანამშრომლობა;

ზ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სფეროში გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, გამოფენების, სემინარების, შეხვედრების ორგანიზება და საზღვარგარეთ ორგანიზებული ანალოგიური ხასიათის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

თ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მონიტორინგის განხორციელება. ამ მიზნით სააგენტო უფლებამოსილია:

თ.ა) მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისაგან მათ მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის თაობაზე;

თ.ბ) საჭიროების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად მიავლინოს უფლებამოსილი პირები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის ადგილზე გასაცნობად;

ი) აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს გარიგებები, აგრეთვე განახორციელოს სხვა იურიდიული ქმედებები როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებთან;

კ) შეიმუშაოს სააგენტოს შინაგანაწესი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, განსაზღვროს სამუშაო დროისა და დასვენების ხანგრძლივობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ლ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2016 წლის 25 თებერვლის ბრძანება №2-33 - ვებგვერდი, 26.02.2016წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 მაისის ბრძანება №2-336- ვებგვერდი, 14.05.2018წ.

მუხლი 3. სააგენტოს მართვა

1. სააგენტოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის თავმჯდომარე, რომელიც დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებების ფარგლებში მოქმედებს დამოუკიდებლად და ანგარიშვალდებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) და კურატორი მინისტრის მოადგილის წინაშე.

2. სააგენტოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

3. სააგენტოს თავმჯდომარე:

ა) წარმოადგენს სააგენტოს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ბ) იღებს გადაწყვეტილებას (გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს) სააგენტოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს, მათ მიმართ გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;

გ[1]) მინისტრთან შეთანხმებით, უფლებამოსილია სააგენტოს თანამშრომელთათვის დაადგინოს დანამატი, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს სააგენტოს სახსრებსა და ქონებას;

ე) ამტკიცებს სააგენტოს სტრუქტურას და შინაგანაწესს;

ვ) მინისტრთან შეთანხმებით ამტკიცებს საშტატო ნუსხასა და სახელფასო ფონდს;

ზ) სააგენტოს თანამშრომლებს აძლევს მითითებებს და დავალებებს, აკონტროლებს მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

თ) ახორციელებს სააგენტოს თანამშრომელთა გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ი) იღებს გადაწყვეტილებას სააგენტოს მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესასრულებლად საჭირო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების განკარგვის შესახებ;

კ) ახორციელებს ამ დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. სააგენტოს თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარე.

5. სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილებები განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით.

6. სააგენტოს თავმჯდომარის არყოფნისას სააგენტოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს მოადგილე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება №2-210 - ვებგვერდი, 30.10.2014წ.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 მაისის ბრძანება №2-336- ვებგვერდი, 14.05.2018წ.

მუხლი 3[1]. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფები

სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:
ა) ადმინისტრაციული სამსახური;
ბ) კოოპერატივების რეგისტრაციის სამსახური;
გ) მონიტორინგის სამსახური;
დ) მიზნობრივი პროექტების სამსახური.
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 მაისის ბრძანება №2-336- ვებგვერდი, 14.05.2018წ.

მუხლი 3[2]. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები

1. ადმინისტრაციული სამსახურის ფუნქციებია:
ა) სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვა;
ბ) სააგენტოს საქმისწარმოების ორგანიზება;
გ) სააგენტოს კომპიუტერული ქსელისა და ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა;
დ) სააგენტოს ფინანსური რესურსების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა;
ე) სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
ვ) სააგენტოს ქონების განკარგვის ორგანიზება კომპეტენციის ფარგლებში;
ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;
თ) საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების წარმათვა;
ი) ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება;
კ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა, საზოგადოების ინფორმირება სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე;
ლ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობის განხორციელება.
2. კოოპერატივების რეგისტრაციის სამსახურის ფუნქციებია:
ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და რეგისტრაციის პროცესის ხელშეწყობა;
ბ) სააგენტოს მიერ განხორციელებულ სახელმწიფო პროგრამებში კოოპერატივების ელექტრონული რეგისტრაციის პროცესის უზრუნველყობა;
გ) სააგენტოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შემდგომში – კანდიდატის დოკუმენტაცია) შესწავლა და შემდგომი რეაგირების მიზნით სააგენტოს თავმჯდომარისთვის დასკვნის წარდგენა;
დ) კანდიდატის დოკუმენტაციაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო რეაგირება და დაინტერესებული პირების ინფორმირება, ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაინტერესებული პირებისგან საჭირო დოკუმენტაციის მოთხოვნა;
ე) სტატუსის მქონე კოოპერატივების შესახებ საინფორმაციო მონაცემების სისტემატიზაცია;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობის განხორციელება.
3. მონიტორინგის სამსახურის ფუნქციებია:
ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მინიტორინგის განხორციელება და სააგენტოს თავმჯდომარისათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების თაობაზე შესაბამისი დასკვნის მომზადება;
ბ) კომპეტენციის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის კონსულტაციების გაწევა;
გ) სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამების ფარგლებში პრეტენდენტის მიერ განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაციის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მონაწილესთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საველე ან/და დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელება.
4. მიზნობრივი პროექტების სამსახურის ფუნქციებია:
ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისთვის შესაბამისი პროგრამის შემუშავება და კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცების შემდეგ მათი განხორციელება;
ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დასაფინანსებელი პროგრამების და პროექტების განხილვა, წინადადებების შემუშავება და მათი განხორციელება;
გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების მომზადების პროცესში მონაწილეობის მიღება;
დ) სააგენტოს საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიისა და პრიორიტეტების განსაზღვრა და მათზე დაფუძნებული პროგრამების შემუშავება და შესრულების კოორდინაცია;
ე) მიზნობრივი პროექტების, პროგრამების, ანგარიშების შემუშავება მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების, საინიციატივო წიანდადებების განხილვა, მათი შესწავლა და ანალიზი;
ვ) სამსახურის მიერ შემუშავებული პროექტებისა და პროგრამების განხორციელება და შეფასების ინდიკატორების შემუშავება, მათი გამოყენება და ანალიზი;
ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობის განხორციელება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 მაისის ბრძანება №2-336- ვებგვერდი, 14.05.2018წ.

მუხლი 4. სააგენტოს ქონება
1. სააგენტოს ქონება შედგება მისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადაცემული, ასევე საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.

2. სააგენტოს ქონებას შეადგენს ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე, სხვა მატერიალური ფასეულობები და ფინანსური რესურსები, რომლებიც აისახება სააგენტოს დამოუკიდებელ ბალანსზე.

მუხლი 5. სააგენტოს დაფინანსება

1. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტის სახით მიღებული თანხები;

ბ[1]) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები ხმარდება სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 მაისის ბრძანება №2-336- ვებგვერდი, 14.05.2018წ.

მუხლი 6. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი

1. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. სამინისტროს უფლება აქვს, მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

3. სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს სააგენტოს არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 7. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. სააგენტომ სამინისტროს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;

ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებები სააგენტოს ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს .

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

3. სამინისტროს უარი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში ან/და სასამართლოში.

მუხლი 8. საბუღალტრო ანგარიშგება

1. სააგენტო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

2. სააგენტოს წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 9. სააგენტოს დებულებაში ცვლილების შეტანის წესი

სააგენტოს დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 მაისის ბრძანება №2-336- ვებგვერდი, 14.05.2018წ.

მუხლი 10. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.